

საქართველოს კანონი
“საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებების საქმიანობის
ლიცენზირების შესახებ” საქართველოს კანონში დამატების შეტანის
თაობაზე

მუხლი 1. “საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №11, 29.03.2005, მუხლი 72) მე-4 მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება არ ექვემდებარება ლიცენზირებას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი